

სამოსამართლო ეთიკის შედარებითი ანალიზი და
კომენტარები საქართველოს სამოსამართლო ეთიკის
ნორმების თაობაზე

ავტორი: ასბედ კოჩიკიანი
2016 წლის აპრილი

შინაარსი

1. შესავალი.....	2
2. სამოსამართლო ეთიკის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიმოხილვა	6
2.1 სამოსამართლო ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები	6
2.2 სამოსამართლო ეთიკის რეგიონული სტანდარტები (გარდა ევროპულისა)	9
2.3 სამოსამართლო ეთიკის ევროპული სტანდარტები	11
2.4 ეთიკასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის ურთიერთმიმართება	14
3. საქართველოში სამოსამართლო ეთიკის სფეროში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა	17
3.1 საქართველოს კონსტიტუცია	19
3.2 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ	19
3.3 საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ	20
4. კომენტარები და რეკომენდაციები საქართველოს სამოსამართლო ეთიკის ნორმების გადასინჯვასთან დაკავშირებით	20
4.1 ზოგადი კომენტარები და რეკომენდაციები	22
4.2 კონკრეტული კომენტარები და რეკომენდაციები ..	Error! Bookmark not defined.
5. დაკვანები	34

1. შესავალი

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2015 წლის ანგარიშში, რომელიც ევროპაში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას შეეხებოდა, ორი ძირითადი საკითხი იქნა იდენტიფიცირებული, რომლებიც ევროპის საბჭოს მიერ დასახული დემოკრატიული უსაფრთხოების მიღწევის თვალსაზრისით გამოწვევას წარმოადგენს - სასამართლო ხელისუფლების სისუსტე და მედიის თავისუფლების თვალსაზრისით მდგომარეობის გაუარესება.¹ ანგარიშში მითითებულია, რომ სასამართლო ხელისუფლების სისუსტე

... ცალსახად გამოიკვეთა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მესამედზე მეტ სახელმწიფოში. მთელ რიგ ქვეყნებში კორუფციის წინააღმდეგ არსებული მექანიზმები სუსტია, ხოლო საზოგადოების ნდობა სისტემისადმი დაბალია. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ ამგვარი ვითარება. არაკორუმპირებული და ეფექტური სასამართლო ჯანსაღი დემოკრატიის ქვაკუთხედაა. ამის გარეშე აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ იქნება სათანადო კონტროლს დაქვემდებარებული, ხოლო ხელისუფლებისადმი ნდობა შერყეული იქნება, გაიზრდება დამაბულობა, და სტაბილურობა ვერ იქნება გარანტირებული.²

ზემოთხსენებული ანგარიშის შესაბამისად ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების დაახლოებით მესამედში არ არსებობს შესაბამისი სტანდარტები სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.³ შესაბამისად, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერება გენერალური მდივნის აზრით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია დემოკრატიული თავსაზრისით უსაფრთხო ევროპის შესახებ ხედვის რეალიზაციისთვის.

1999 წლის 27 აპრილს ევროპის საბჭოსთან მიერთებით საქართველომ ვალდებულება იკისრა გაეუმჯობესებინა დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული ვითარება. გარდა ამ კონკრეტული მიმართულებით აღებული ვალდებულებებისა, საქართველომ ასევე ვალდებულება იკისრა ჩაეტარებინა

¹ იხილეთ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2015 წლის ანგარიში ევროპაში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობის შესახებ, გვ. 7.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 9.

სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმები მის ევროპულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამოსამართლო ეთიკის ჰარმონიზირებული წესების შემუშავება და მათი განხორციელება, რადგანაც მოცემული საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვის მთავარი წინაპირობაა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველომ მიიღო და გადასინჯა მთელი რიგი კანონები, მათ შორის სამოსამართლო ეთიკასთან დაკავშირებული დებულებები, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს კონსტიტუციაში, საკანონმდებლო აქტებში და სხვა ინსტრუმენტებში, მათ შორის *საქართველოს ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ*, და *საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში*. მიუხედავად ამისა, კვლავაც არსებობს რეფორმების გატარებისა და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს და პრაქტიკის გაუმჯობესების საჭიროება. თომას ჰამარბერგი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების საკითხებზე ყოფილი კომისარი, ხოლო შემდგომში ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და იურიდიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში თავის ანგარიშში შემდეგს აღნიშნავს:

საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები სრულიად ნათლად ადგენენ შემდეგს: სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური, თუ სხვა არასათანადო ზეწოლისგან. თუმცა, პრაქტიკაში მოცემული ფუნდამენტალური მნიშვნელობის პრინციპი არ არის სრულად დაცული. სასამართლოები პირდაპირ თუ ირიბ პოლიტიკურ ზეწოლას ექვემდებარებიან და ყოველთვის ვერ იცავენ თავიანთ შეუვალობას. დეკლარირებული იქნა სასამართლო ხელისუფლების აღმასრულებელი

ხელისუფლებისგან გაცალკევების განზრახვა, მაგრამ იგი არ არის სრულად რეალიზებული.⁴

მსგავს გამოწვევებზე საუბრობს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი ნილს მუჟნიეკი. კერძოდ, თავის ანგარიშში ნილს მუჟნიეკი მიესალმება საქართველოს მთავრობის მიერ ძირეული რეფორმების გატარებას, მაგრამ იმავდროულად ყურადღებას ამახვილებს სასამართლო და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გადაჭრას საჭიროებენ.⁵

წინამდებარე დოკუმენტი ეყრდნობა სამოსამართლო ეთიკისა და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებისადმი მიძღვნილ ისეთ დოკუმენტებს, როგორცაა *სასამართლო რეფორმის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოები და მოსამართლეთა კარიერა* (2011); *ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივი დასკვნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში ცვლილებების თაობაზე (2014)*, და მიზნად ისახავს საერთაშორისო, ევროპული და რეგიონული სტანდარტების შედარებით ანალიზს და ასევე საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ანალიზს მის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ჭრილში. გარდა ამისა, წინამდებარე დოკუმენტში ასევე განხილულია სამოსამართლო ეთიკის ძირითადი წყაროები და განმარტებულია განსხვავება სამოსამართლო ეთიკასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის.

წინამდებარე დოკუმენტის სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

- A. სამოსამართლო ეთიკის წყაროების ანალიზი.
- B. მოკლე განმარტება სამოსამართლო ეთიკასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის განსხვავების შესახებ.

⁴ თომას ჰამარბერგის შეფასებები და რეკომენდაციები, ასახული ანგარიშში „საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში გატარებული რეფორმების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა: წინაპირობები, გატარებული რეფორმები და არსებული გამოწვევები, 2013 წლის სექტემბერი, გვ. 9.

⁵ იხილეთ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარის ნილს მუჟნიეკის ანგარიში, რომელიც 2014 წლის 20-25 იანვრის განმავლობაში საქართველოში ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა.

- C. მოსამართლეთა ქცევის საკითხების მარეგულირებელი საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი.
- D. რეკომენდაციები საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ნორმების გადასინჯვასთან დაკავშირებით.

2. სამოსამართლო ეთიკის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიმოხილვა

საქართველოში მოსამართლეთა ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის უკეთ გაგების და შეფასების, და კანონმდებლობის საერთაშორისო და ევროპულ ნორმების პრიზმიდან გაანალიზების მიზნით მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ ძირითადი საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც სამოსამართლო ეთიკას შეეხებიან. ასეთი შედარებითი ანალიზი ასევე დაგვეხმარება იმ ძირითადი ინფორმაციის მოწოდებაში, რომელიც სამოსამართლო ეთიკის საკვანძო ელემენტებს შეეხება, და რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ნებისმიერ ქვეყანაში (მოცემულ შემთხვევაში საქართველოში) მოსამართლეთა ეთიკის ნორმების დაცვისთვის.

2.1 სამოსამართლო ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მიღებული იქნა მთელი რიგი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ამ დოკუმენტების უმეტესობა მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას, პარალელურად მოსამართლეთა ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებული იდეების და მიდგომების ფორმირება ხდებოდა, და საბოლოო ანგარიშში ამ დოკუმენტებში არა მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები აისახა, არამედ ასევე ისეთი ასპექტები, როგორცაა მოსამართლეთა მიუკერძოებლობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა, კომპეტენტურობა და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ქვემოთ მოცემულია ამ დოკუმენტებში ასახული საკვანძო საკითხების მოკლე მიმოხილვა.

i. სასამართლოს დამოუკიდებლობის მინიმალური სტანდარტების ნიუ-დელის კოდექსი (1982)

ნიუ-დელის კოდექსი ინიცირებული იქნა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის და მსოფლიო მშვიდობის საერთაშორისო ასოციაციისა და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ და კოდექსში ისეთი საკითხები იქნა ასახული, როგორცაა მოსამართლეთა ქცევა (ნაწილი F), სასამართლო ხელისუფლების საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობა (ნაწილი B), სასამართლო

ხელისუფლების ადმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობა (ნაწილი A), აგრეთვე მოსამართლეთა შერჩევასა (კვალიფიკაციაზე დაფუძნებით) და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

ii. მონრეალის საყოველთაო დეკლარაცია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ (1983)

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ პირველი მსოფლიო კონფერენციის შედეგებზე დაყრდნობით მიღებული ეს დეკლარაცია შეეხება მოსამართლეთა, პროკურორებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობას საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. მონრეალის დეკლარაციაში მოსამართლეებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები შეეხებოდა მათ დამოუკიდებლობას (მუხლები 2.02-2.10), კვალიფიკაციას და მოსამართლეთა შერჩევას (მუხლები 2.11-2.15), და მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას ეროვნულ სასამართლოებში (მუხლები 2.32-2.39).

iii. გაერთიანებული ერების ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (1985)

მიღებული იქნა გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ მილანში (1985 წლის 26 აგვისტო- 6 სექტემბერი), და ძალაში შევიდა გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით. მოცემული დოკუმენტი ეყრდნობა გაერთიანებული ერების ქარტიას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, და რამდენიმე სხვა საერთაშორისო შეთანხმებას. გაეროს მოცემულ პრინციპებში ხაზგასმულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მნიშვნელობა, მოსამართლეთა გამომხატვის თავისუფლება, მოსამართლეთა კვალიფიკაცია და შერჩევის პროცესი, და დისციპლინური სახდელები, რომლებიც იმ მოსამართლებს შეიძლება დაეკისროთ, რომლებიც მოცემულ პრინციპებს დაარღვევენ.

iv. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საყოველთაო დეკლარაცია (სინგვის დეკლარაცია) (1989)

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების (მოხსენიებული iii სექციაში), და მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მიღებულ მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის (1999) დამატებას და იგი მანამდე მიღებული დეკლარაციებისა და შეთანხმებების ტრადიციებს ეყრდნობა. სინგვის დეკლარაციაში ასახულია არა მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ ასევე მოსამართლეთა უსაფრთხოების უფლებაზეცაა ყურადღება გამახვილებული.

v. გაერთიანებული ერების მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები (2002)

მოცემული დოკუმენტი მიღებული იქნა მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმამტკიცებელი მოსამართლეთა ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 15 უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ ტრადიციებს წარმოადგენდნენ. მოსამართლეთა ჯგუფის შეხვედრა მიზნად ისახავდა მოსამართლეთა ეთიკის სტანდარტების შემუშავებას, კერძოდ კი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნას მოსამართლეთა ქცევის რეგულირების მიზნით. მოცემული სტანდარტები შემდეგ საკითხებს შეეხება: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, შეუვალობა, ეთიკა, თანასწორობა, კომპეტენტურობა, და კეთილსინდისიერება. მთელ რიგ ქვეყნებში სამოსამართლო ქცევის კოდექსები ბანგალორის პრინციპებზე დაყრდნობით შემუშავდა.

vi. კომენტარები მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისადმი (2007)

სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმამტკიცებელი მოსამართლეთა ჯგუფმა, ანუ იმავე ჯგუფმა, რომელმაც ბანგალორის პრინციპები შეიმუშავა, ამ პრინციპების მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ გააცნობიერა, რომ არსებობდა პრინციპებისადმი „კომენტარების, ან განმარტებითი მემორანდუმის შემუშავება, რომელიც ბანგალორის პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების სახელმძღვანელო დირექტივების როლს შეასრულებდა, რათა უფრო ნათლად წარმოჩენილიყო მოცემული დირექტივებისა და პრინციპების კონკრეტული ვითარებების, პრობლემების, ან გამოწვევების შემთხვევაში გამოყენების გზები“.

vii. მუნთ სკოპუსის საერთაშორისო სტანდარტები (2008)

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს ნიუ დელის კოდექსით (იხილეთ I სექცია) და მონრეალის დეკლარაციით (იხილეთ I სექცია) გათვალისწინებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მინიმალური სტანდარტების განახლებულ და გადასინჯულ ვერსიას. ამ პრინციპების გადასინჯვა მიზნად ისახავდა „მოსამართლეთა როლის გაზრდა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და გლობალიზაციის პირობებში ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა“.

viii. მოსამართლეთა ეთიკის ბოლონიის და მილანის გლობალური კოდექსი (2015)

მოცემული დოკუმენტი მიღებული იქნა 2015 წლის ივნისში ჩატარებულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, და იგი ყველაზე განახლებულ მიდგომებს შეიცავს სამოსამართლო ეთიკის, და საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე მოსამართლეთა ქცევის საკითხებისადმი. მონრეალის დეკლარაციის მსგავსად (იხილეთ ii სექცია) მოცემულ დოკუმენტში საუბარია სამოსამართლო ეთიკასა და ეროვნულ და საერთაშორისო მოსამართლეთა პასუხისმგებლობაზე, მაგრამ განსხვავებით ამ დეკლარაციისგან, ამ დოკუმენტში უფრო მეტადაა ხაზგასმული ეროვნულ მოსამართლეთა ქცევასთან დაკავშირებული ასპექტები. აქცენტის ასეთი გადანაცვლება იმაზე მიუთითებს, რომ სამოსამართლო ეთიკის ამალღება ეროვნულ დონეზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთაშორისო დონეზე.

2.2 სამოსამართლო ეთიკის რეგიონული (და სხვა ევროპული) სამართლებრივი სტანდარტები

სამოსამართლო ეთიკის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დოკუმენტები გარკვეულწილად მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და ეთიკის სფეროში შემუშავებულ რეგიონულ და ეროვნულ დოკუმენტებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. ერთ ერთი ყველაზე ადრე მიღებული დოკუმენტია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1924 წელს მიღებული *სამოსამართლო ეთიკის ნორმები*. მოცემული დოკუმენტი აშშ-ს მოსამართლეების ეთიკისა და ქცევის კოდექსის საფუძველი გახდა. ევროპის ფარგლებს გარეთ არსებული ერთ-ერთი ყველაზე აქტიური რეგიონული

ასოციაცია აზიისა და დასავლეთ წყნარი ოკეანეთის მოსამართლეთა ასოციაცია (LAWASIA), რომელმაც მოსამართლეთა ეთიკისა და დამოუკიდებლობის საკითხებისადმი მიძღვნილი დოკუმენტები შეიმუშავა.

i. ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი (1973)

თავდაპირველად დოკუმენტი ცნობილი იყო სახელით *ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლეთა ქცევის კოდექსი*, და იგი ეთიკის ნორმებს შეიცავს, რომლებიც ფედერალურ მოსამართლეებზე ვრცელდება და განსაზღვრავს მოსამართლეთა ქცევის ნორმებს მათ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების ფარგლებში, და ფარგლებს გარეთ. მოცემული დოკუმენტი არაერთგზის გადაისინჯა და სამოსამართლო ეთიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი საერთაშორისო დოკუმენტის საფუძვლად იქნა გამოყენებული.

ii. LAWASIA-ს რეგიონში მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ტოკიოს პრინციპები (1982)

ტოკიოში გამართულ შეხვედრაზე LAWASIA-მ დასავლეთ წყნარი ოკეანეთისა და აზიის ქვეყნებში მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპების განხორციელების საკითხები განიხილა. ტოკიოს პრინციპებში ასახულ საკვანძო საკითხებს მიეკუთვნება: კანონის უზენაესობა, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვა, მოქალაქეებს შორის დავებისა და მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის დავების პროცესში მართლმსაჯულების მიუკერძოებლად განხორციელება.

iii. ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის სამოსამართლო ქცევის სამოდელო კოდექსი (1990)

1924 წელს მიღებულ დოკუმენტზე დაყრდნობით სხვადასხვა მხარეების თანამშრომლობის გზით შემუშავებული (მოსამართლეები, ადვოკატები და საზოგადოების წარმომადგენლები) და 1990 წელს დამტკიცებული *სამოსამართლო ქცევის კოდექსში* განსაზღვრულია აშშ-ს მოსამართლეთა ქცევასთან დაკავშირებული მოთხოვნები. ამ დოკუმენტის ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია სამოსამართლო ეთიკის საკონსულტაციო კომიტეტების ჩამოყალიბება მოსამართლეთა ეთიკის სტანდარტების სათანადოდ შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

iv. პეკინის დეკლარაცია LAWASIA-ს რეგიონში მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპების თაობაზე (2001)

პეკინის დეკლარაცია ტოკიოს პრინციპების (იხილეთ ii სექცია) დამატების სახით შემუშავდა, და მასში გადაისინჯა მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრინციპები, და გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა მოსამართლეთა დანიშვნასა და თანამდებობაზე ყოფნის ვადაზე, და სასამართლო ხელისუფლებასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობებზე.

2.3 ევროპული სამართლებრივი სტანდარტები სამოსამართლო ეთიკის თაობაზე

სამოსამართლო ეთიკისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სტანდარტები ევროპის რამდენიმე ორგანიზაციამ და ინსტიტუტმა შეიმუშავა. მოცემულ სფეროში აქტიურად მუშაობენ შემდეგი ორგანიზაციები: მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელი (ENCJ) და ევროპის საბჭოს ისეთი სტრუქტურები, როგორცაა მინისტრთა კომიტეტი, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR).

ევროპის საბჭოს დოკუმენტები სამოსამართლო ეთიკის საკითხებზე:

i. ევროპის საბჭოს ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ და მისი განმარტებითი მემორანდუმი (1998)

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მოსამართლეების კომპეტენციების, დამოუკიდებლობის, და მიუკერძოებლობის სფეროში ევროპული სტანდარტების შემუშავების ერთ-ერთი ყველაზე პირველი მცდელობა.

ii. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N°1 (CCJE (2001)

მოცემული დასკვნა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და შეუცვლელობას შეეხება.

iii. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N° 3 (CCJE (2002)

მოცემულ დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების ნდობაზე, და ხაზგასმულია, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც კანონის

უზენაესობის პრინციპი მოქმედებს, სამართლიანი სასამართლო განხილვა და ძირითადი უფლებების დაცვის გარანტია ნათლად უნდა იყოს კანონმდებლობაში ასახული და რეალიზებული.

iv. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N° 7 (CCJE (2005))

მოცემულ დოკუმენტში სამოსამართლო ეთიკის ორ ძირითად ასპექტზეა ყურადღება გამახვილებული: 1) მოსამართლეთა ურთიერთობები საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ქვეყნებში სასამართლოების საგანმანათლებლო როლი; და 2) მოსამართლეთა ურთიერთობები სამართალწარმოების პროცესის ყველა მონაწილესთან.

v. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N° 10 (CCJE (2007))

მოცემულ დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია სასამართლო ხელისუფლების აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობაზე. გარდა ამისა, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს სასამართლო ხელისუფლება უნდა იღებდეს.

vi. EctHR-ის რეზოლუცია სამოსამართლო ეთიკის თაობაზე (2008)

რეზოლუციაში ასახულია სამოსამართლო ეთიკასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, შეუვალობა, კომპეტენტურობა, კეთილსინდისიერება, წინდახედულობა, გამოხატვის თავისუფლება და სხვა.

vii. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 12 წევრ სახელმწიფოთა მიმართ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და მოვალეობების შესახებ

მოცემულ დოკუმენტში ასახულია მოსამართლეთა გარეშე (სასამართლო ხელისუფლების ფარგლებს გარეთ) და შიდა (სასამართლო ხელისუფლების ფარგლებს შიგნით) დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები და მოსამართლეთა ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით რეკომენდირებულია ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბება, როგორცაა მოსამართლეთა საბჭოები.

viii. CCJE-ს მოსამართლეთა დიდი ქარტია (2010)

ქარტიაში ყურადღება გამახვილებულია კანონის უზენაესობაზე და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მნიშვნელობასა და დამოუკიდებლობის სხვადასხვა ასპექტზე (ფინანსური, ადმინისტრაციული და სხვა), და სამართალწარმოების გამჭვირვალობასა და მოსამართლეთა მოვალეობებზე.

ix. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N° 17 (CCJE (2014))

მოცემულ დასკვნაში ხაზგასმულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის და კომპეტენტური სასამართლოების აუცილებლობა, რომლებიც მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებებს იღებენ.

x. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N° 18 (CCJE (2015))

მოცემულ დოკუმენტში ასახულია ერთი მხრივ სასამართლო ხელისუფლებასა და აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე, და იმავდროულად სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის ბალანსის მიღწევის აუცილებლობაზე.

ENCJ დოკუმენტები სამოსამართლო ეთიკის საკითხებზე

xi. ENCJ-ს ბუდაპეშტის რეზოლუცია (2008)

დოკუმენტის სახელწოდებაა „მოსამართლეთა თვითმმართველობა: დამოუკიდებლობისა და ანგარიშგების დაბალანსება“. მოცემული რეზოლუცია ცდილობს დაამყაროს ბალანსი მოსამართლეთა დანიშვნის სფეროში დამოუკიდებლობასა და მოსამართლეთა დისციპლინას შორის (რაც სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებაში შედის), და ასევე საუბარია კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმების აუცილებლობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა და სამართალწარმოების პროცესის კონტროლისა და ბალანსის სისტემა.

xii. ENCJ-ს ლონდონის დეკლარაცია სამოსამართლო ეთიკის შესახებ (2010)

ENCJ-მ შეიმუშავა ანგარიში „სამოსამართლო ეთიკა - პრინციპები, ღირებულებები და თვისებები“, რომელიც შეეხება მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, შეუვალობას, მიუკერძოებლობას, წინდახედულობას, თავშეკავებულობას, კეთილსინდისიერებას, თანასწორ მოპყრობას, კომპეტენციებს და სამართალწარმოების გამჭვირვალობას. გარდა ამისა, ხაზგასმულია ისეთი თვისებების მნიშვნელობა, როგორცაა სიბრძნე, ლოიალურობა, ჰუმანურობა, სიმამაცე, სერიოზულობა, წინდახედულობა, შრომისუნარიანობა, ეფექტური მოსმენისა და კომუნიკაციის უნარი, რაც აუცილებელია მოსამართლეებისადმი საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად.

2.4 ურთიერთმიმართება სამოსამართლო ეთიკასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის

სასამართლო ხელისუფლების მიერ მასზე დაკისრებული როლის ეფექტურად შესრულებისთვის აუცილებელია საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა და ნდობა. *CCJE-ს დასკვნა N° 3-ის შესაბამისად* „მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს დავების გლობალიზაციისა და მიღებული გადაწყვეტილებების ფართოდ გავრცელების გათვალისწინებით.“⁶

მოქალაქეების სასამართლოსადმი ნდობის შენარჩუნებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ბალანსის დამყარება ერთის მხრივ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, და ამის ისეთ შემადგენელ კრიტერიუმებთან ერთობლიობაში, როგორცაა გამჭვირვალობა, სამართლიანობა და სიმტკიცე, ხოლო მეორეს მხრივ ანგარიშვალდებულებას შორის (დისციპლინური პასუხისმგებლობა).

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებისადმი კომენტარების შესაბამისად „ყველა გადაცდომა არ უნდა გახდეს დისციპლინური წარმოების საფუძველი“, და მიუხედავად იმისა, რომ სამოსამართლო ქცევის ნორმების დაცვა მოსამართლეებისთვის სავალდებულოა, მოცემული ნორმები არ ისახავენ მიზნად მოსამართლის მიერ ჩადენილ ყველა გადაცდომასთან

⁶*CCJE დასკვნა N° 3, მუხლი 9.*

დაკავშირებით დისციპლინური წარმოების წამოწყებას. მოსამართლის მიერ პრინციპების ყველა დარღვევა ვერ იქნება მიჩნეული სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევად (ან გადაცდომად). ის, თუ რამდენად მართლზომიერია დისციპლინური ზომის დაკისრება, დამოკიდებულია მთელ რიგ ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა დარღვევის სიმძიმე, ასეთი დარღვევა სისტემური ხასიათისაა თუ არა, და ამ დარღვევის შედეგებზე სხვა ადამიანებზე, და ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემაზე.⁷

გარდა ამისა, „მოსამართლეებს არ უნდა დაეკისროთ სამოქალაქო ან დისციპლინური პასუხისმგებლობა კანონის ინტერპრეტაციის, საქმესთან დაკავშირებული ფაქტების ან მტკიცებულებების შეფასების გამო, თუმცა მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს მოსამართლის მიერ მძიმე დარღვევის ჩადენის, ან დაუდევრობის შემთხვევაში.“⁸

მოცემულ კონტექსტში ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ეთიკური სტანდარტები, რომლებიც წარმოადგენენ სტანდარტების წყებას, რომლების სამოსამართლო ქცევის საუკეთესო პრაქტიკას ასახავენ, და პროფესიულ გადაცდომებს შორის, რომლებიც შეიძლება გახდეს დისციპლინური წარმოებს წამოწყების საფუძველი. აქედან გამომდინარე, მოსამართლეებისთვის მინიჭებული უფლებამოსილება მკაცრად მიზნულია მართლმსაჯულების ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, სიმართლე და თავისუფლება. მოსამართლეთა ქცევის სტანდარტები ამ ღირებულებებიდან გამომდინარეობენ და მართლმსაჯულების აღსრულებისადმი ნდობის წინაპირობას წარმოადგენენ.⁹ *CCJE-ს დასკვნა N° 3-ში* დეტალურადაა განმარტებული განსხვავება სამოსამართლო ქცევის სტანდარტებსა (მუხლები 8-50) და მოსამართლეთა სისხლის, სამოქალაქო ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის (მუხლები 51-77).

მოცემული საკითხი კიდევ უფრო დეტალურადაა წარმოჩენილი *ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში CM/Rec (2010) 12 წევრ სახელმწიფოთა მიმართ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის,*

⁷ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, *კომენტარები ბანგალორის სამოსამართლო ეთიკის პრინციპებისადმი* (2007 წლის სექტემბერი), გვ. 36, მუხლი 19.

⁸ ENCJ, *მინიმალური სამოსამართლო ეთიკის სტანდარტების მიმართება მოსამართლეთა დისციპლინურ წარმოებასა და პასუხისმგებლობასთან* (2014-15), გვ. 22.

⁹ *CCJE-ს დასკვნა N° 3*, მუხლი 8.

ეფექტიანობისა და მოვალეობების შესახებ, თავი VII, მუხლი 72-ში, რომელიც ადგენს:

მოსამართლეებმა თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში უნდა იხელმძღვანელონ პროფესიული ქცევის ეთიკური პრინციპებით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მოცემული პრინციპები ითვალისწინებენ არა მხოლოდ მოსამართლეთა ვალდებულებებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს შეიძლება სანქციები დაეკისროს, არამედ ასევე სთავაზობენ სახელმძღვანელო ნორმებს მოსამართლეთა პროფესიულ ქცევასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სამოსამართლო ეთიკასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის განსხვავება ყველაზე კარგადაა წარმოჩენილი CCJE-ს *მოსამართლეთა დიდ ქარტიაში* (2010), რომლის მე-18 მუხლის შესაბამისად „მოსამართლეთა ქცევა უნდა რეგულირდებოდეს დეონტოლოგიური პრინციპების შესაბამისად, რომლებიც განსხვავებული უნდა იქნას დისციპლინური წესებისგან.“¹⁰

მოცემული იდეა კიდევ უფრო განმტკიცებულია CCJE-ს დასკვნა N° 3 -ის მე-60 მუხლში, რომლის შესაბამისადაც:

... არასწორი იქნებოდა პროფესიული სტანდარტების დარღვევების დაკავშირება ისეთ გადაცდომებთან, რომელთა შემთხვევაში მოსამართლეს შეიძლება დისციპლინური სახდელები დაეკისროს.
... იმისთვის, რომ მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების წამოწყება მართლზომიერად იქნას მიჩნეული, დარღვევა იმდენად სერიოზული ხასიათის უნდა იყოს, რომ იგი ვერ იქნას მიჩნეული უბრალოდ პროფესიული სტანდარტების დაუცველობად

გამყოფი ხაზი საკმაოდ ბუნდოვანი ხდება, როდესაც იმის დადგენაა საჭირო, მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება ეთიკური ნორმების დარღვევას წარმოადგენს, თუ იგი დისციპლინური გადაცდომაა. საკმაოდ ხშირად დავის მხარემ, რომელიც უკმაყოფილო დარჩა საქმის შედეგით, შეიძლება მოსამართლის წინააღმდეგ საჩივარი წარადგინოს და მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების წამოწყება, რითაც შეაფერხოს მოსამართლის საქმიანობა. სწორედ ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანი ნათლად განსაზღვრა, თუ რა მოიაზრება მოსამართლის ქცევის ნორმების

¹⁰ მოცემულ შემთხვევაში „დეონტოლოგიურში“ იგულისხმება ეთიკასთან დაკავშირებული ვალდებულებები ან წესები, რომლის შემთხვევაშიც ქმედება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შედეგები.

მძიმე დარღვევად, რა შემთხვევაშიც შეიძლება დისციპლინური წარმოება იქნას წამოწყებული, და რა მოიაზრება ეთიკური სტანდარტების დარღვევად. ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ ანგარიშში სახელწოდებით „*აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სასამართლო რეფორმის ხელშეწყობა*“ საუბარია ეთიკური ნორმების დარღვევასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის მკაფიო გამყოფი ხაზის გავლების აუცილებლობაზე.

3. საქართველოში სამოსამართლო ეთიკის სფეროში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოსამართლეთა ქცევის საკითხებზე ერთი ან მეტი დოკუმენტი იქნა შემუშავებული. ქვემოთ მოცემულია ამ ქვეყნების მაგალითები, და შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც სამოსამართლო ეთიკის საკითხებისადმი მიძღვნილი:

ბელგია: მოსამართლეთა კოდექსი (მიღებული 1967 წელს, გადაისინჯა 2012 წელს) შეიცავს სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც მოსამართლეებისა და პროკურორების მიმართ დისციპლინურ წარმოებას განსაზღვრავენ. გარდა ამისა, 2012 წელს ბელგიის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა ბროშურა სახელწოდებით *სახელმძღვანელო მოსამართლეებისთვის - პრინციპები, ღირებულებები და თვისებები*.

კვიპროსი: განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, კვიპროსს არა აქვს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი. მიუხედავად ამისა, 2002 წელს თანამეგობრობის ქვეყნების მონაწილეობით ორგანიზებულ ქოლოქვიუმის საფუძველზე მომზადებულ დოკუმენტში, სადაც მოსამართლეთა შორის კორუფციასთან ბრძოლის საკითხები იქნა განხილული, ასახულია რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოების მიმართ (კვიპროსის ჩათვლით) რომ მიიღონ

სახელმძღვანელო დირექტივები სამოსამართლო ეთიკაზე მოსამართლეთა შეუვალობის გამყარებისა და საზოგადოების სამოსამართლო ეთიკის ძირითადი პრინციპების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისთვის. ასეთი სახელმძღვანელო დირექტივები სასამართლო მოხელეების მიერ უნდა შემუშავდეს და მუდმივად ახლდებოდეს. შესაბამისი სასამართლო მოხელეები

უნდა იყონ პასუხისმგებელი ამ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.¹¹

დანია: *სამოსამართლო ეთიკის პრინციპები* (მიღებული 2014 წელს დანიის მოსამართლეთა ასოციაციის საერთო კრებაზე) წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომლითაც მოსამართლეთა ქცევა რეგულირდება. გარდა ამისა, *მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ კანონი* (მიღებული 1916 წელს, შემდგომში რამოდენიმეჯერ გადაისინჯა) ასევე შეიცავს მოსამართლეთა ქცევის შესახებ ნორმებს.

ირლანდია: მოსამართლეები ვალდებული არიან დაიცვან *საჯარო მოხელეების ეთიკის შესახებ კანონი* (1995) და *საჯარო სამსახურის სტანდარტების შესახებ კანონი* (2001).

ზემოთ მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდან ნათელი ხდება, რომ ეთიკის კოდექსის საყოველთაოდ აღიარებული უნივერსალური მოდელი არ არსებობს, და სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა ფორმატის დოკუმენტი გააჩნიათ, რომლებითაც მოსამართლეთა ქცევის რეგულირება ხდება.

სანამ საქართველოს სამოსამართლო ეთიკასთან დაკავშირებულ ნორმებზე ვისაუბრებდეთ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ საკანონმდებლო ჩარჩო (ქვემოთ მოცემულია დასათაურებებში), რომელიც პირდაპირ თუ ირიბად შეეხება მოსამართლეთა ქცევას.

¹¹იხილეთ ლიმასოლის დასკვნები *თანამეგობრობის ქვეყნები ქოლოქვიუმზე მოსამართლეთა შორის კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე შემდეგ მისამართზე:*

<http://www.cmja.org/downloads/limassolconclusionwithannexe.pdf>. ბოლო ნახვა 2016 წლის 12 აპრილს.

3.1 საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია არის ის ძირითადი დოკუმენტი, სადაც სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პარამეტრებია განსაზღვრული. კონსტიტუცია ცალსახად საუბრობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე, და მათ იმუნიტეტზე, რომელიც კანონითაა დაცული.¹² კერძოდ, კონსტიტუციის მუხლი 87.1 ადგენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ:

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა დაუშვებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

3.2 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ

კანონში განსაზღვრულია საქართველოს სასამართლო სისტემის სტრუქტურა და მოსამართლეთა პასუხისმგებლობები. სამოსამართლო ეთიკის კონტექსტში ამ კანონის რამდენიმე მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კერძოდ:

1. მხარეთა თანასწორობის გარანტია სამართალწარმოების პროცესში (მუხლი 6)
2. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა (მუხლი 7) და სასამართლო ხელისუფლებაში სხვა ხელისუფლების შტოების ჩარევის დაუშვებლობა (მუხლი 8)
3. მოსამართლის ხელშეუხებლობა (მუხლი 40) და მოსამართლეთა სამართლებრივი და სოციალური დაცვა (მუხლი 68)¹³
4. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა (მუხლი 46) და მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები (მუხლი 43)

¹² მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები 84.1 და 84.4. მოსამართლეთა ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით იხილეთ მუხლი 87.

¹³ ორგანული კანონის მე-40 მუხლი საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის რედაქციას იმეორებს.

5. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს.¹⁴

3.3 საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ

კონსულტანტისათვის მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად ამ კანონის ახალი ვერსია ამჟამად საქართველოს პარლამენტის მიერ განიხილება. კანონპროექტი დეტალურად ადგენს იმ მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლებს, რომლებმაც დისციპლინური გადაცდომები ჩაიდინეს. გარდა ამისა, კანონი განსაზღვრავს იმ სასამართლო ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დისციპლინური წარმოების წამოწყებაზე, მოსამართლის მიერ ჩადენილი გადაცდომების შეფასებაზე, და დისციპლინური სამართალწარმოების წამოწყებაზე. ვენეციის კომისიამ საქართველოს მთავრობას რამდენიმე რეკომენდაცია მიაწოდა იმ საფუძვლებთან დაკავშირებით, როდესაც მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება იქნას წამოწყებული, და ასევე მოსამართლეთა მიმართ სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ვენეციის კომისიამ რეკომენდაცია მისცა მთავრობას, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული ყველა შემთხვევების თაობაზე ინფორმაცია გასაჯაროებული უნდა იქნას.¹⁵

4. კომენტარები და რეკომენდაციები საქართველოს სამოსამართლო ეთიკის ნორმების გადასინჯვასთან დაკავშირებით

საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად მოსამართლეთა კონფერენცია იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.¹⁶ საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში (შემდგომში

¹⁴ საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 65.1.ე.

¹⁵ იხილეთ ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივი დასკვნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში ცვლილებების თაობაზე, დასკვნა № 774/2014 (2014 წლის 10-11 ოქტომბერი).

¹⁶ საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 65.1.ე.

მოხსენიებული როგორც *NJEG*) ბოლო ცვლილებები 2012 წლის 8 თებერვალს იქნა შეტანილი.

კოდექსი პრეამბულისა და 28 მუხლისგან შედგება, და იგი ეყრდნობა:

საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ასევე სამოსამართლო ეთიკის სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს #3 მოსაზრებას მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებისა და წესების, კერძოდ ეთიკის, შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის თაობაზე.¹⁷

აღსანიშნავია, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამოსამართლო ეთიკის კოდექსები განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც განპირობებულია ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციებით, და იმ გამოწვევებით, რაც მოსამართლეთა წინაშე არსებობს კონკრეტულ ქვეყანაში. სწორედ ამიტომ, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კოდექსი სხვადასხვა ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, და ასევე მოსამართლეთა ვალდებულებებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მაგალითად, ხორვატიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზანია: „ხორვატიის რესპუბლიკაში კონსტიტუციონალური მართლწესრიგის მაღალი ხარისხის მიღწევა, კანონის უზენაესობის, კონსტიტუციონალურობისა და მართლზომიერების, ჰუმანურობისა და ეთიკის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, გამოცდილების, თანასწორობისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფა.“¹⁸ დანიის მოსამართლეთა ასოციაციის მიზანია „სასამართლოსადმი მოსახლეობის მაქსიმალური ნდობის ხელშეწყობა, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.“¹⁹

ინგლისისა და უელსის მოსამართლეთა ქცევის სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავს მოსამართლეებისთვის დახმარების გაწევას, და არა დეტალური პრინციპების წყების შეთავაზებას, და მოსამართლეებს ამ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით შეუძლიათ

¹⁷ საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, პრეამბულა

¹⁸ იხილეთ: <http://pak.hr/cke/propisi,%20zakoni/en/CodeofJudicialEthics/EN.pdf>

¹⁹ იხილეთ მოსამართლეთა ეთიკის პრინციპები: <http://dommerforeningen.dk/english/ethical-principles-for-judges/>.

გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და იმავდროულად, ასეთი გზით დამოუკიდებლობის შენარჩუნება.”²⁰

4.1 ზოგადი კომენტარები და რეკომენდაციები

პრეამბულის შესაბამისად კოდექსის ძირითადი მიზანია სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის ამაღლება. მოცემული იდეა პრეამბულის სამ ან ოთხ პარაგრაფშია ნახსენები:

... აცნობიერებენ რა, რომ **საზოგადოებრივი რწმენა** სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს ღირებულებას

... აცნობიერებენ რა, რომ მოსამართლის ქცევა როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე სხვა საქმიანობის განხორციელების დროს წარმოადგენს **საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს**

... სასამართლო ხელისუფლებისადმი **საზოგადოების ნდობისა და რწმენის ამაღლება**, მოსამართლის თანამდებობის პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა.²¹ (**ტექსტი გამოკვეთილია კონსულტანტის მიერ**)

ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც მართლმსაჯულების სისტემებისა და სასამართლოებისადმი ნდობის საკითხისადმი მიძღვნილი 2014 წლის გელაპის გლობალური კვლევის შედეგების შესაბამისად, ქართველების მხოლოდ 51% ენდობა მართლმსაჯულების სისტემებსა და სასამართლოების. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი ოდნავ უფრო მაღალია ვიდრე ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი (49%), გამოდის, რომ მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ენდობა სასამართლო ხელისუფლებას.²²

საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი საუბრობს დამოუკიდებლობაზე, მიუკერძოებლობაზე, კომპეტენტურობასა და კეთილსინდისიერებაზე, მაგრამ იგი არ საუბრობს ისეთ საკვანძო

²⁰იხილეთ https://www.judiciary.gov.uk/wp-content/uploads/JCO/Documents/Guidance/judicial_conduct_2013.pdf

²¹საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, პრეამბულა

²² იხილეთ „სასამართლო სისტემისადმი ნდობა“, <http://www.gallup.com/poll/178757/confidence-judicial-systems-varies-worldwide.aspx>. ბოლო ნახვა 2016 წლის 27 მარტი.

პრინციპებზე, როგორცაა შეუვალობა, შესაბამისობა და თანასწორობა.²³ კოდექსი უფრო ზოგადი ხასიათის ნორმებს შეიცავს და იგი არ არის საკმარისად ამომწურავი, და საჭიროა მისი სტრუქტურის გადასინჯვა. დოკუმენტის გაცნობის შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს დოკუმენტი კომპრომისის შედეგს წარმოადგენს, როდესაც სხვადასხვა იდეები და კონცეფციები იქნა გაერთიანებული, რათა კოდექსი უფრო თანმიმდევრული ყოფილიყო. მოცემული შთაბეჭდილება შეიძლება თარგმანის შედეგიც იყოს (კოდექსი ქართულიდან ინგლისურად გადაითარგმნა), მაგრამ კოდექსის რამდენიმე მუხლის ქვემოთ მოცემული ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ საკითხი უფრო შინაარსობრივი ხასიათისაა, ვიდრე ლინგვისტური.

4.2 კონკრეტული კომენტარები და რეკომენდაციები

მოცემულ ნაწილში დეტალურადაა განხილული საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის პრეამბულა და მუხლები, და იქ სადაც ეს მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რეკომენდაციებია მოწოდებული შესაბამისი მუხლების გადასინჯვასთან დაკავშირებით.²⁴ აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის შემუშავება გულისხმობს „მოსამართლეთა შორის პროფესიული დისკუსიების რეგულარულად გამართვას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეასრულონ მათ ეფექტიანად მათზე დაკისრებული მოვალეობები.“²⁵ *CCJE*-ს დასკვნა *N° 3-ის მუხლი 49.iii*-ის შესაბამისად „ზემოთხსენებული პრინციპები [ეთიკის კოდექსი] თავად მოსამართლეებმა უნდა შეიმუშაონ, და ეს პრინციპები არ არის კავშირში მოსამართლეთა დისციპლინური სისტემისგან“. იმავე დასკვნის მუხლი *49.iv*-ის შესაბამისად „სასურველია, რომ მოსამართლეებმა ჩამოაყალიბონ ერთი ან მეტი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსამართლეებს, რომლებიც პროფესიული მოვალეობების შესრულების პროცესში ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩნდებიან, ან უნდათ დაადგინონ, თუ რამდენად თავსებადია გარკვეული არა-სამოსამართლო საქმიანობა მათ მოსამართლის სტატუსთან“.

²³ მოსამართლეთა ქვევის ბანგალორის პრინციპებში (2002) ასახულია შემდეგი 6 პრინციპი (თანმიმდევრობა დაცულია): დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, შეუვალობა, წესიერება, თანასწორობა, კომპეტენცია და გულმოდგინება (ბოლო ორი ცნება ერთ პრინციპშია გაერთიანებული)

²⁴ უფრო მეტი სიცხადის მიზნით რეკომენდაციები მოცემულია განსხვავებული შრიფტით.

²⁵ სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში:

მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოები და მოსამართლეთა კარიერა (2011), 86 გვ.

პრეამბულა

საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის პრეამბულის შესაბამისად „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს **დემოკრატიული საზოგადოების** უმთავრეს ღირებულებას“ (*ტექსტი გამოკვეთილია კონსულტანტის მიერ*). სამოსამართლო ეთიკის ნორმებზე საუბრისას ტერმინი „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არის საკმარისი, და *აქ უნდა იყოს მითითება კანონის უზენაესობის დამკვიდრებაზე, რაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის წინაპირობაა.*

სასამართლოს დამოუკიდებლობის კონტექსტში უნდა დაემატოს წინადადება, რომელშიც განმარტებული იქნება ხელისუფლების სამ შტოს შორის ურთიერთობები. დამოუკიდებელი სასამართლო არ ნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლება კანონზე, ან იგი საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მაღლა დგას. მოცემულ დებულებაში ასახული უნდა იყოს წინადადება, რომელიც ხაზს გაუსვამს, რომ *დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპით ხელმძღვანელობს, ხელისუფლების ყველა შტოს შორის უნდა არსებობდეს შემაკავებელი და გამაწონასწორებელი მექანიზმები, და რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა ასეთი საზოგადოების ერთ-ერთი ქვაკუთხედი.*

კოდექსში გამოყენებული ტერმინების დეფინიციების უფრო მეტი სიცხადისთვის *პრეამბულაში ასახული უნდა იქნას სამოსამართლო ეთიკის რამდენიმე საკვანძო პრინციპი, ციტირებული სხვადასხვა წყაროებიდან. ქვემოთ მოცემულია ასეთი წყაროების მაგალითები:*

i. *მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების (2002) შესაბამისად მოსამართლეთა ქცევა შემდეგი 6 პრინციპის გათვალისწინებით უნდა რეგულირდებოდეს:*

- ა) დამოუკიდებლობა: სასამართლო დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის და სამართლიანი პროცესის ფუნდამენტური გარანტიის წინაპირობა. შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ინსტიტუციონალურ კონტექსტში.
- ბ) მიუკერძოებლობა: მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება.

გ) შეუვალობა: შეუვალობას აქვს არსებითი მნიშვნელობა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

დ) წესიერება: წესიერება და წესიერების გამოჩენა არის არსებითი მოსამართლის ყოველგვარ საქმიანობაში.

დ) თანასწორობა: სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორ მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.

ე) კომპეტენცია და გულისხმიერება: კომპეტენცია და გულისხმიერება წარმოადგენს სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვანი განხორციელების წინაპირობას.

ii. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ *შოტლანდიის მოსამართლეთა ეთიკის პრინციპების განაცხადი* (2015), რომელშიც ზემოთხსენებული პრინციპებია ასახული, და მოცემულია მათი დეფინიციები, რის შემდეგაც ყოველი ეს პრინციპი დეტალურადაა განმარტებული და ხაზგასმულია მათი მნიშვნელობა შოტლანდიის სასამართლოს კონტექსტში.²⁶

iii. *ბულგარეთის მოსამართლეების ქცევის კოდექსი* (2008) იმავე მიდგომას ეყრდნობა, და მასში განსაზღვრულია ის პრინციპები, რომლებითაც ბულგარეთის მოსამართლეებმა უნდა იხელმძღვანელონ, მცირედი განსხვავებით ზემოთხსენებული პრინციპებისაგან.²⁷

ზემოთ მოცემული კოდექსების შემთხვევაში სამოსამართლო ეთიკის პრინციპები დოკუმენტის დასაწყისშია ასახული. განსხვავებული პრინციპითაა შედგენილი ისეთი ეთიკის კოდექსები, რომლებშიც ეს პრინციპები არა პრეამბულაში, არამედ შესაბამის მუხლებშია ასახული. ამის მაგალითია *ნორვეგიის მოსამართლეთა ეთიკის პრინციპები* (2010). მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დოკუმენტი საკმაოდ მოკლეა, იგი მოიცავს ყველა იმ ძირითად ეთიკის პრინციპს, რომლითაც მოსამართლეებმა უნდა იხელმძღვანელონ. კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ შემუშავებული *სამოსამართლო ეთიკის კოდექსი (ICC-BD/02-01-05)*, რომელიც იმავე სტრუქტურითაა შემუშავებული.

მუხლი 2

მოცემული მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად „მოსამართლის აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის,

²⁶ იხილეთ მუხლი 3.

²⁷ იხილეთ ნაწილი I.

საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ანდა კრიტიკის შიშით“. აღსანიშნავია, რომ პლურალისტული და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია კრიტიკის შესაძლებლობა, რაც ასევე გულისხმობს, რომ პირი შეიძლება კრიტიკის ობიექტად გახდეს. მოცემული მუხლის არსი შეიძლება უკეთ იყოს გამოხატული, თუ „კრიტიკის შიშით“ ჩანაცვლებული იქნება „კრიტიკის, ფიზიკური ზიანის, ან დევნის შიშით“.

მუხლები 3 და 4

მოცემული მუხლები შეეხება მოსამართლეთა ქცევას, რომელიც „უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი“, და რომ „მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად“. მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხებია განხილული საქმეში *პიტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ*, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა. კერძოდ, საქმე შეეხებოდა მოსამართლეს, რომელიც გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან იმ საფუძველზე, რომ იგი თავისი რელიგიური მოსაზრებების პროპაგანდას ახორციელებდა და სასამართლო განხილვებისას საჯაროდ ლოცულობდა, რითაც სასამართლოს მიუკერძოებლობას ზიანი მიაყენა.

სასამართლომ დაასკვნა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია საჯარო მოხელეების სტატუსის გამო დააკისროს წინდახედულად მოქმედების ვალდებულება, საჯარო მოხელეებზეც ვრცელდება კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები. შესაბამისად, სასამართლოს ვალდებულებაა ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით დაადგინოს, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი პირის გამოხატვის თავისუფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს მართლზომიერ ინტერესს შორის უზრუნველყოს საჯარო სამსახურის მიერ 10§2 მუხლში ასახული მიზნების მიღწევა. ამ საკითხის შესწავლისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ როდესაც საქმე ეხება საჯარო მოხელის გამოხატვის თავისუფლებას, 10§2 მუხლით გათვალისწინებული „მოვალეობები და პასუხისმგებლობები“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ, რის გამოც მიზანშეწონილია

ეროვნული ხელისუფლებისთვის მიხედულების თავისუფლების არის დატოვება იმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გასაჩივრებული ჩარევა თანაზომიერია თუ არა ზემოთხსენებული მიზნისა“ (ვოგტი გერმანიის წინააღმდეგ, 1995 წლის 26 სექტემბერი). სასამართლოს შესაბამისად, ეს კიდევ უფრო მართებულია მოსამართლეებთან დაკავშირებული საქმეების შემთხვევაში, „იმის გათვალისწინებით, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი მიდგომა განსაკუთრებით გამართლებულია, როდესაც საქმე ეხება მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების პროცესში, რადგანაც მოსამართლეები არ წარმოადგენენ რიგითი საჯარო მოხელეების ნაწილს“ (პიტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება დასაშვებობის თაობაზე, 47936/99).

გარდა ამისა, „არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით მიჩნეული იქნა, რომ მომჩივანმა დააშინა სამართალწარმოების მხარეები, და რომ იგი ეკლესიის პოპულარიზაციას ახორციელებდა სახელმწიფო ინტერესის საზიანოდ, რომელიც კანონის უზენაესობის დაცვაში მდგომარეობდა. მომჩივანი მოსამართლის მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებდა და ამტკიცებდა, რომ მან სასამართლოს ავტორიტეტი შელახა. ამ გარემოებების და სახელმწიფოს მიხედულების თავისუფლების არის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების მიერ მოყვანილი მტკიცებულებები და მიზეზები „საკმარისია“ იმისთვის, რომ მართლზომიერად ჩაითვალოს კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა (პიტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება დასაშვებობის თაობაზე, 47936/99).

მუხლი 6

“მოსამართლე საჯაროდ არ უნდა გამოხატავდეს უარყოფით აზრს ან შეხედულებას სხვა მოსამართლისა და კოლეგის პროფესიონალიზმსა თუ პირად თვისებებზე, აგრეთვე უპატივცემულოდ არ უნდა იხსენიებდეს სხვა მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას“. მოცემული მუხლი ვერ ჯდება „დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაწილში“. მიზანშეწონილი იქნებოდა ამ მუხლის გადატანა იმ ნაწილში, რომელიც შესაბამისობის (წესიერების) პრინციპებს ეხება.

მუხლი 7

მოცემული მუხლი ადგენს, რომ „მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მონაწილეთა ან/და საქმით დაინტერესებული პირის მიღება ან მასთან კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.“ მუხლის ტექსტი ზედმეტად ამკრძალავი ხასიათისაა, იმის გათვალისწინებით, რომ იმისთვის, რომ მოსამართლემ მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება შეძლოს, მას სჭირდება კომუნიკაცია პროკურორებთან, ადვოკატებთან და სამართალწარმოების მხარეებთან. იმავდროულად, *საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესების შესახებ კანონის მუხლი 3.1-ის შესაბამისად:*

საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილეთა, დაინტერესებულ პირთა, საჯარო მოსამსახურეთა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.²⁸

რეკომენდირებულია, რომ ამ ორი საკანონმდებლო აქტის ნორმები შეჯერდეს და უფრო თანმიმდევრული და ნაკლებად ორაზროვანი სახით ჩამოყალიბდეს. მაგალითად, ორივე კანონში ტერმინი *ex parte კომუნიკაციის* დამატება ბევრად უფრო ნათელს გახდიდა ამ საკითხს. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი შეიძლება შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს:

მოსამართლეს ეკრძალება ex parte შეხვედრა ან კომუნიკაცია პროცესის მონაწილეებთან ან/და საქმით დაინტერესებულ პირებთან სასამართლოში ან მის გარეთ, საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია პროკურორის, ადვოკატის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის მცდელობის თაობაზე

²⁸ მოცემული მუხლი 2017 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში.

დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 10

მოცემული მუხლი შეეხება პროცესის მონაწილეთა თანასწორობის უზრუნველყოფას. მოცემული მუხლი გამართულია, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა მისი გადატანა „კომპეტენციების და გულისხმიერების“ ნაწილში.

მუხლი 13

მოცემული მუხლის შესაბამისად „მოსამართლემ პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებების საზიანოდ.“ მნიშვნელოვანია მოცემულ მუხლს დაემატოს *წინადადება, სადაც განმარტებული იქნება, ეს ინფორმაცია არ უნდა იქნას გამოყენებული მოსამართლის, მისი ოჯახის წევრების ან ახლობლების ინტერესებში.* ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მოსამართლე პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას მოპოვებულ ინფორმაციას ნათესავს გადასცემს, რომელიც პირად სარგებელს მიიღებს ამის შედეგად, მუხლის არსებული ტექსტის შესაბამისად ეს სამოსამართლო ეთიკის დარღვევას არ წარმოადგენს.

მუხლი 14

მოცემული მუხლის შესაბამისად „სამოსამართლო ფუნქციების სათანადო კომპეტენტურობით განხორციელების მიზნით მოსამართლე ვალდებულია პერიოდულად იმაღლებდეს პროფესიული ცოდნის დონეს და სისტემატურად ეცნობოდეს მის სფეროში მიმდინარე სიახლეებს“. მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე თავის პროფესიონალიზმს იმაღლებდეს მის სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის გზით, შეუძლებელია ყოველი ცალკეული მოსამართლის ცოდნის დონის „შემოწმება“ უახლესი ტენდენციების სფეროში. მოცემული უფრო ზოგად მოლოდინს წარმოადგენს, ვიდრე მოსამართლეთა ქცევასთან დაკავშირებულ მოლოდინს, და სხვა ქვეყნების ეთიკის კოდექსებში მსგავსი დებულება არ არის ასახული.

მუხლები 16-18

ტერმინი „მასმედიასთან“ ჩანაცვლებული უნდა იყოს ტერმინით „საზოგადოებასთან“, რადგანაც იგი უფრო ამომწურავი და რელევანტურია.

გარდა ამისა, კოდექსი უნდა იყოს ასახული დებულება (ერთი ან ორი მუხლი), რომელშიც გაწერილი იქნება მოსამართლის საზოგადოებასთან ურთიერთობების წესები. მოსამართლეთა საზოგადოებასთან ურთიერთობების (მათ შორის მედიასთან) საკითხი გამჭვირვალობის პრინციპიდან და მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების საჭიროებიდან გამომდინარე წარმოიქმნება.²⁹ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ბულგარეთის მოსამართლეების ქცევის კოდექსი შემდეგ დებულებებს შეიცავს, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იქნას ამ საკითხთან დაკავშირებით:

- i. მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს საჯარო კომენტარები ან განცხადებები მის მიერ განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ საქმის შედეგზე, ან ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, რომ საქმის შედეგი წინასწარ განსჯილია, ან მოსამართლეს მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს. მოსამართლემ არ უნდა განიხილოს საქმეები სასამართლო დარბაზის ფარგლებს გარეთ სამართალწარმოების სხვა მხარეებთან, ადვოკატებთან ან მესამე მხარეებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კანონითაა გათვალისწინებული (მუხლი 2.3)
- ii. კანონის მოთხოვნების შესაბამისად მოსამართლეებმა საზოგადოებას დროულად უნდა მიაწოდონ საჭირო და ამომწურავი ინფორმაცია. (მუხლი 3.3);
- iii. მოსამართლეებმა კანონის მოთხოვნების დაცვით უნდა უზრუნველყონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა სამართალწარმოების მონაწილეების უფლებებისა და ინტერესებისთვის ზიანის მიყენების გარეშე (მუხლი 3.4)
- iv. მან საზოგადოებას პირადად, ან მედიის მეშვეობით უნდა წარუდგინოს თავისი გადაწყვეტილების დასაბუთება ისეთ საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევენ და იმავდროულად თავი შეიკავოს ისეთი ქცევისგან, ან მოქმედებებისგან, რომლებიც შეიძლება აღქმული იქნას როგორც საკუთარი თავის წარმოჩენის, ან საზოგადოების მხრიდან აღიარების მოპოვების მცდელობად (მუხლი 3.5)

²⁹ მოცემული იდეა მე-17 მუხლშია ასახული, და შეიძლება მუხლი უფრო დეტალურად შეეხოს ამ საკითხს.

მუხლები 19-21

მოცემული მუხლები უფრო მისაღებ ქცევას შეეხება, ვიდრე „მედიას“. რეკომენდირებულია, რომ ეს დებულებები ამოღებული იქნას ნაწილიდან „ურთიერთობები მოსამართლეებსა და მედიას შორის“ და ცალკე დასათაურების ქვეშ მოექცეს. გარდა ამისა, მუხლები 19 და 21 ერთმანეთს იმეორებენ და შეიძლება ერთ მუხლად გაერთიანდნენ.

მუხლი 24

მოცემული მუხლის შესაბამისად „მოსამართლე არ შეიძლება მონაწილეობდეს ისეთ საქმიანობაში, რომელიც შეუთავსებელია მის სამოსამართლო სტატუსსა და მოვალეობებთან“. აქ უფრო კონკრეტულად უნდა განისაზღვროს, თუ რა სახის „საქმიანობა“ იგულისხმება, პოლიტიკური თუ ბიზნეს საქმიანობა?

მუხლები 26 და 27

მუხლები 26 და 27 უკრძალავს მოსამართლეს პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას, პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვას, ან პოლიტიკური გაერთიანებების წევრობას.

მოსამართლეთა პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია, და ევროპის ზოგ ქვეყნებში მკაცრი შეზღუდვები დაწესებული მოსამართლეების პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს სამოსამართლო ქცევის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად მოსამართლეს ეკრძალება რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა, და გარდა ამისა რეკომენდირებულია, რომ მოსამართლის ოჯახის წევრებმაც შეიკავონ თავი პოლიტიკური საქმიანობისგან. სრულიად საპირისპირო მიდგომა ასახული გერმანიის კოდექსში, სადაც მოსამართლეს არა მხოლოდ უფლება აქვს გახდეს პოლიტიკური პარტიის წევრი, არამედ მას ასევე უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატის სტატუსით და გახდეს პარლამენტის წევრი. მოსამართლის პარლამენტში არჩევის შემთხვევაში, მას შეუჩერდება მოსამართლის უფლებამოსილება.³⁰

მოცემული საკითხის განხილვისას, საჭიროა უაღრესად მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განსხვავებული იქნას პოლიტიკური აქტივიზმი და

³⁰ CCJE-ს დასკვნა N° 3, გვ. 26, დანართი.

პოლიტიკური მანდატი. პოლიტიკური აქტივიზმი გულისხმობს პირის მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის პოლიტიკური გაერთიანების წევრობას, მაშინ როდესაც პოლიტიკურ მანდატში იგულისხმება პირის არჩევა ან დანიშვნა აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების შტოს თანამდებობაზე. პოლიტიკური მანდატის შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ძალაუფლების გამიჯვნის საკითხი. ხელისუფლების სამ შტოს შორის წონასწორობის დაცვის მიზნით დაუშვებელია პირის მიერ ხელისუფლების ორ სხვადასხვა შტოში თანამდებობის დაკავება.³¹

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური აქტივიზმის შესახებ დისკუსია საკმაოდ წინააღმდეგობრივია და ბანგალორის 4.6 პრინციპის შესაბამისად

მოსამართლეს, ისევე როგორც ყველა მოქალაქეს აქვს აზრის გამოხატვის, რწმენის, კავშირის შექმნისა და გაერთიანების თავისუფლება, მაგრამ ამ უფლებების განხორციელებისას ის ყოველთვის უნდა მოიქცეს ისე, რომ შეინარჩუნოს მოსამართლის თანამდებობრივი ღირსება და სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

აღსანიშნავია, რომ საქმეზე კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვის გამო, წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევას (კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ, განჩინება 29492/05)

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება გააჩნია შეზღუდოს საჯარო მოხელეების გამოხატვის თავისუფლება, არის საქმე პიტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ. მომჩივანი ასაჩივრებდა მის მიმართ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას (დისკრიმინაციის აკრძალვა), რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი არ იქნა გათავისუფლებული თანამდებობიდან მისი ეკლესიის მიმდევრობის, ან რაიმე სხვა „სტატუსის“ გამო, არამედ სამოსამართლო თანამდებობასთან შეუთავსებელი კონკრეტული საქმიანობის გამო. არ არის არანაირი

³¹ ICC-ს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მუხლი 10.2 კრძალავს მოსამართლეების მიერ რაიმე პოლიტიკური თანამდებობის დაკავებას.

მტკიცებულებები იმისა, რომ მომჩივანი დისკრიმინაციას დაექვემდებარა კონვენციის მე-14 მუხლის მნიშვნელობით (პიტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ. გადაწყვეტილება დასაშვებობის თაობაზე 47936/99).

CCJE -ს *N° 3* დასკვნის მუხლი 50.xii-ი თანხვედრაშია ბანგალორის პრინციპებში ასახულ მიდგომასთან და ადგენს, რომ “მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ რაიმე პოლიტიკური საქმიანობისგან, რომელიც შელახავს მათ დამოუკიდებლობას ან ზიანს მიაყენებს მათ რეპუტაციას და მიუკერძოებლობას“. მოცემული მუხლი არ აკონკრეტებს, თუ რა მოიაზრება მოსამართლის მიუკერძოებლობისთვის ზიანის მიყენებაში, ან პოლიტიკურ აქტივიზმში, და იგი პოლიტიკური აქტივიზმის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით სახელმწიფოებს დისკრეციული მიდგომის საშუალებას აძლევს.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისადმი კომენტარების მუხლი 135-ი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ საკითხს და ადგენს, რომ „სამოსამართლო საქმიანობა შეუთავსებელია ისეთ პოლიტიკურ საქმიანობასთან, როგორცაა ეროვნული პარლამენტის ადგილობრივი საბჭოების წევრობა“.

ზემოთხსენებული დებულებები მოსამართლეს უფლებას აძლევს გახდეს პოლიტიკური პარტიების წევრი, მაგრამ იმავდროულად შეზღუდვებს აწესებენ მოსამართლის ცენტრალური ან ადგილობრივი დონის სამთავრობო ორგანოებში წევრობასთან დაკავშირებით. *საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მუხლი 39* უკრძალავს მოსამართლეებს „პოლიტიკური გაერთიანების წევრობას, ან პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას“.

რეკომენდირებულია, რომ მუხლები 26 და 27 გაერთიანდეს და მათი რედაქცია შეიცვალოს ზემოთხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით.

მუხლი 28

მოცემულ მუხლში ძირითად პრობლემად მოიაზრება წინადადება ‘მოსამართლეს არა აქვს უფლება, რაიმე მოტივით, კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, უარი თქვას ან სხვას მოუწოდოს სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობისაკენ“. მსგავსად 26 და 27

მუხლებისა, ბანგალორის პრინციპების მუხლი 4.6 აღიარებს მოსამართლის „გამოხატვის, რწმენის, კავშირის შექმნის და გაერთიანების თავისუფლებას“. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლი აღიარებს გაფიცვის უფლებას. ამ უფლებით სარგებლობის პროცედურები კანონით იქნება დადგენილი. კანონი აგრეთვე განსაზღვრავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისების ფუნქციონირების გარანტიებს“. ეს გულისხმობს, რომ მოსამართლეს უფლება აქვს გაიფიცოს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოსამართლის პროფესიონალიზმის პრინციპებს და არ არღვევს იმ პირების დროული და სამართლიანი განხილვის უფლებას, რომელთა საქმეები ამ კონკრეტულმა მოსამართლემ უნდა განიხილოს იმ მომენტისთვის, როდესაც იგი გაიფიცა. განხილვის ეტაპზეა.

5. დასკვნები

ზემოთ განხილული იქნა სამოსამართლო ეთიკის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც საერთაშორისო და ეროვნულ ინსტრუმენტებშია ასახული. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთმოყვანილი მიმოხილვა არ არის ამომწურავი ხასიათის, მოცემული მაგალითები ინტელექტუალურ და პრაქტიკულ ჩარჩოს წარმოადგენენ, რომელიც დაეხმარება საქართველოს მოსამართლეებს გარკვეული მიდგომების შერჩევასა და კონსენსუსის მიღწევაში გარკვეულ ცნებებთან და მიდგომებთან დაკავშირებით.

რადგანაც არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული ნორმები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს, ან არ იყოს სამოსამართლო ეთიკის პრინციპები, ყველა ქვეყანა საკუთარ ნორმებს შეიმუშავებს ადგილობრივი გამოწვევებისა და კონტექსტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, სამოსამართლო ეთიკის ნორმები ორგანული და დინამიურია, და შეიძლება განახლდეს, ან გადაისინჯოს ქვეყანაში არსებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის არსებული კოდექსი კარგი ამოსავალი წერტილია მოსამართლეთა ეთიკური ვალდებულებების განსაზღვრად, მაგრამ იმისთვის, რომ ეს დოკუმენტი უფრო თანმიმდევრული და ამომწურავი გახდეს, შეიძლება საქართველოს სასამართლო ხელისუფლებამ მიზანშეწონილად მიიჩნიოს

კოდექსის სტრუქტურის გადასინჯვა ზემოთხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი მართლმსაჯულების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია, და იგი მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და საზოგადოების ნდობის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მოცემული საკითხი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ფონზე.